

შპს ინტერსტანდარტ ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ინტერსტანდარტ
ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31.12.2018
შემოსავალი	2	331 431
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(342 720)
საერთო მოგება/ზარალი		(11 289)
საერთო და ადინისტრაციული ხარჯები	3	(25 397)
სხვა შემოსავალი		(36 686)
საოპერაციო მოგება/ზარალი		-
არასაოპერაციო შემოსავალი		-
არასაოპერაციო ხარჯი		(36 686)
პერიოდის ზარალი		
სხვა სრული შემოსავალი		(36 686)
სრული შემოსავალი/ზარალი		

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

მთავარი ბუღალტერი
დირექტორი



ზურაბი აგაბანოვი

მათე აგაბანოვი

[Handwritten signatures of Zurab Agabani and Mate Agabani]

შპს ინტერსტანდარტ ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	31.12.2018	01.01.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	34 911	54 218
არამატერიალური აქტივები	5	63	140
სულ გრძელვადიანი აქტივები		34 974	54 358
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	765 756	1 013 120
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	174 073	32 733
გადახდილი ავანსები	8	94 402	65 105
ფული და ფულის ექვივალენტები	9	2 209 351	2 100 140
სულ მიმდინარე აქტივები		3 243 582	3 211 098
სულ აქტივები		3 278 556	3 265 456
საკუთარი აქტივი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	10	2 735 290	2 735 290
მიღებული ზარალი		(36 686)	-
საწესდებო კაპიტალი		35 200	11 100
სულ საკუთარი კაპიტალი		2 733 764	2 746 390
მიმდინარე ვალდებულებები			
დავალიანება ბიუჯეტის მიმართ	11	357 522	350 108
მიღებული ავანსები		144 043	144 043
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		43 227	24 915
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		544 792	519 066
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3 278 556	3 265 456

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ინტერსტანდარტ ჯორჯია (შემდგომში - „კომპანია“) საიდენტიფიკაციო კოდით 417878425, დაფუძნდა 2011 წლის 6 დეკემბერს, იურიდიულ მისამართზე - საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, კამანის ქუჩის 1 ჩიხი, N3.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი ბინების მშენებლობა და სარემონტო მომსახურება.

2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით საწარმოს დამფუძნებელ პარტნიორთა წილები:

მესაკუთრე	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *
ზურაბ პავლიაშვილი	66,67%
მათე აგახანოვი	33,33%

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი, სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჟოს (ბასს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით. აღნიშნული ანგარიშგება პირველად მომზადდა „მსს ფასს“ სტანდარტების შესაბამისად.

მსს ფასს -ის პირველადი გამოყენება

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებას ადგილობრივი საგადასახადო აღრიცხვის პრინციპების მიხედვით, რომელიც ზოგადად მიღებულია საქართველოში და ეფუძნება საქართველოს საგადასახადო გაწონმდებლობას, თუმცა არ მოიცავს გარკვეულ სააღრიცხვო პრინციპებსა და ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებს. 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის კომპანიამ პირველად მოამზადა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, ამასთან ერთად კომპანიამ გამოიყენა სარეკომენდაციო მითითება, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მიხედვით განსაზღვრული მესამე კატეგორიის ტიპის საწარმოთათვის შედგათს ითვალისწინებს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს, კომპანიამ საწყისი ფინანსური ანგარიშგება მოამზადა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც არის კომპანიის მცირე და საშუალო საწარმოების სტანდარტზე გადასვლის თარიღი, თუმცა ზემოაღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არ წარმოადგენს მცირე ფასს-ით მომზადებულ სრულ პაკეტს.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე, იმის დაშვებით რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ განავითარონ კომპანია. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ბ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსი შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური მოგების ან ზარალის ანგარიშგებაზე.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ფინანსური ინტრუმენტებიდან წარმოშობილი საკუროსო მოგება და ზარალი წარდგენილია სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ მოგება ან ზარალის სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნეტო სიდიდით.

2018 წლის 31 დეკემბერს და 1 იანვარს უცხოური ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 1 იანვარს	2.5922	3.1044
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანში აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახდით დაბეგვრას. საქართველოს საგადასახდო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახდო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახდო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახდები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახდები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახდო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით.

კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების ცვეთის წრფივ მეთოდს 5 წლიანი გამოყენების ვადის გათვალისწინებით.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმიდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაითვლება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის სპეციალური დანაშნულების ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის ბალანსზე აღირიცხება საბუღალტრო პროგრამა „ორისი“ ლიცენზია, რომელიც ასახულია, როგორც არამატერიალური აქტივი და ცვეთა ერიცხება 15%-იანი განაკვეთით, ვინაიდან მისი გამოყენების სასარგებლო მომსახურების ვადა არ აქვს განსაზღვრული.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატიურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწევა. კომპანიას საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს სავაჭრო ცენტრებთან მაღაზიების ფართებზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის ფართის გამოსყიდვის უფლება. შესაბამისად, კომპანიის მიერ გადახდილი იჯარის თანხა გამოიქვითება პერიოდის მოგება/ზარალში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილის ნაშთის მეთოდით.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა

ანგარიშების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზე, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი. ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი

სახსრების წარმოქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს თავის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა). პირველადი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე არის აღიარებული მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები იყოფა შემდეგ კონკრეტულ კატეგორიებად: რეალური ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებად, გასაყიდად გამოიწველ ფინანსურ აქტივებად, და სესხებად და მოთხოვნებად. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის ხასიათსა და მიზნობრიობაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში. კომპანიას მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფულსა და ფულის ეკვივალენტებს და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების კომპანიას) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გარდა მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული აქტივებისა.

ფული და ფულის ეკვივალენტი

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულის ბანკში, ფულის გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან ცვლადი გადახდებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

2. შემოსავლები

შემოსავალი 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018
შემოსავალი ფართების რეალიზაციიდან	331 431
სულ	331 431

3. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018
ხელფასის ხარჯი	750
ცვეთა და ამორტიზაცია	19 617
საბანკო ხარჯი	1 201
საკანცელარიო ხარჯი	33
საკონსულტაციო მომსახურება	3 000
საოფისე ინვენტარი	78
ზარალი საკურსო სხვაობიდან	718
სულ	25 397

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
01.01.2018	2500	6 794	4 018	84 694	98 006
შემოსვლა გასვლა					
31.12.2018	2500	6 794	4 018	84 694	98 006
დაგროვილი ცვეთა					
01.01.2018	(956)	(3 322)	(2 823)	(36 687)	(43 788)
გასვლა პერიოდის ცვეთა					
	(465)	(1 359)	(544)	(16 939)	(19 307)
	(1 421)	(4 681)	(3 367)	(53 626)	(63 095)
ნარჩენი საბალანსო ღირებულება					
31.12.2018	1 079	2 113	651	31 068	34 911

კომპანიის საკუთრებაში არსებულ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით 5 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით.

5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	პროგრამა ორისი
01.01.2018	507
შემოსვლა გასვლა	
31.12.2018	507
დაგროვილი ამორტიზაცია	
01.01.2018	(367)
გასვლა პერიოდის ამორტიზაცია	
	(76)
	(443)
ნარჩენი საბალანსო ღირებულება	
31.12.2018	63

კომპანიას საკუთრებაში აქვს ბუღალტრული პროგრამა ორისის ლიცენზირებული ვერსია, რომლის სასარგებლო მომსახურების ვადა არ არის განსაზღვრული და ამიტომ ამორტიზაცია განსაზღვრულია შემცირებადი ნაშთის მეთოდით 15%-იანი განაკვეთით.

6. მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	01.01.2018	31.12.2018
დასრულებული ფართები	1 011 370	741 069
საწვავი		22 936
სხვა ინვენტარი	1 750	1 750
სულ მარაგები	1 013 120	765 756

კომპანიას წლის დასაწყისში უფიქსირდება მარაგის 3 პოზიცია: დაუმთავრებელი მშენებლობა, დასრულებული და გასაყიდად გამზადებული ფართები და წვრილმანი ინვენტარი. მარაგების ღირებულება აისახება თვითღირებულებით და ნაშთი გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	01.01.2018	31.12.2018
სავაჭრო მოთხოვნები ფართების რეალიზაციიდან	32 733	174 073
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	32 733	174 073

კომპანიას მოთხოვნების სახით უფიქსირდება ფართების რეალიზაციიდან მისაღებ თანხებზე მოთხოვნები - დებიტორული დავალიანებები.

8. გადახდილი ავანსები

კომპანიას რამდენიმე მომწოდებელთან პერიოდულად უფიქსირდება ავანსების გადახდა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ საოპერაციო ხარჯების ავანსებს, რომლებზეც შემდგომ პერიოდებში ხდება საქონლის/მომსახურების მიღება. გადახდილი ავანსების ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით შეადგენს 65 105 ლარს, ხოლო 31.12.2018 მდგომარეობით - 94 402 ლარს.

9. ფული და ფული ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	01.01.2018	31.12.2018
ნადდი ფული სალაროში	2 093 893	2 199 903
ლარი საბანკო ანგარიშებზე	6 165	8 662
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	82	786
სულ	2 100 140	2 209 351

10. საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი კომპანიაში 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	01.01.2018	31.12.2018
გაუნაწილებელი მოგება	2 735 290	2 735 290
ზარალი	-	(36 686)
საწესდებო კაპიტალი	11 100	35 200
სულ გაუნაწილებელი მოგება	2 746 390	2 733 804

11. მოკლევადიანი ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	01.01.2018	31.12.2018
საგადასახადო ვალდებულებები	350 108	357 522
მიღებული ავანსები	144 043	144 043
სავაჭრო ვალდებულებები	24 915	43 227
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	519 066	544 792

სავაჭრო ვალდებულებები წარმოქმნილია კომპანიის ყოველდღიური საოპერაციო საქმიანობისათვის შეძენილი საქონლის და მომსახურებებიდან.

კომპანიას მიღებული აქვს ავანსები 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში, რომელზეც ფართების გადაფორმება 2018 წლის ბოლომდე არ მომხდარა და ამიტომ ეს თანხები კვლავ ავანსების ანგარიშზე რჩება.

12. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

	01.01.2018	31.12.2018
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	32 733	174 073
გადახდილი ავანსები	65 105	94 402
ფული და ფულის ეკვივალენტები	2 100 140	2 209 351
სულ ფინანსური აქტივები	2 197 978	2 477 826

	01.01.2018	31.12.2018
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	24 915	43 227
მიღებული ავანსები	144 043	144 043
სულ ფინანსური ვალდებულებები	168 958	187 270

17. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიას ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, ჯარიმები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი დარიცხული აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

მთავარი ბუღალტერი

დირექტორი

08.01.2019



ზურაბი აგახანოვი

მათე აგახანოვი